თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №3265408

ნომერი: AR1501602

თარიღი : 11.05.2017

გაცემის თარიღი : 17.05.2017

გაცნობის თარიღი : 17.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 76 , (ნაკვეთი 02/049) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დალი კილაძე პ/ნ 01008010377
- თბილისი წყნეთის ქ. N 6 ბ. 40

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. "დ-არტ" კოდი: 405055103

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 3 მაისის #3242184 ბრძანებაში  ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 11 მაისს #AR1501602 განცხადებით მომართა დალი კილაძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 3 მაისის #3242184 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 3 მაისის #3242184 ბრძანებით  მოწონებულ იქნა ქ. თბილისში (სექტორი - ვაკე), ილია ჭავჭავაძის გამზ. #76-ში (ნაკვეთი 02/049) მდებარე შენობის (ძეგლი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 4 მაისიდან 2017 წლის 4 ივლისის ჩათვლით.

ზემოაღნიშნული განცხადებით განმცხადებელი უთითებს,  რომ სამსახურის 2017 წლის 3 მაისის #3242184 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებში ფართი არასწორად არის მითითებული. კერძოდ, პირველ სართულზე გამორჩენილია ბარის დახლის ფართი (8.1 კვ.მ.), ხოლო ნახევარსართულის სართულზე - კიბის პირველი ბაქანის ფართი (2,0 კვ.მ.) და კიბის ქვედა სივრცე (2,4 კვ.მ.), ხოლო საერთო ფართი შეადგენს  331,4 კვ.მ.-ს. შესაბამისად, მოთხოვნილია შეთანხმებული გეგმების 2017 წლის 11 მაისის #AR1501602 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული გეგმებით ჩანაცვლება.
სამსახურმა 2017 წლის 11 მაისის #AR1501602 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა შეადარა 2017 წლის 3 მაისის #3242184 ბრძანებით შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 3 მაისის #3242184 ბრძანებაში. კერძოდ, აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული შესაბამისი გეგმები ჩანაცვლდეს 2017 წლის 11 მაისის #AR1501602 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით. ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 3 მაისის #3242184 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.